№ 261
შაბათი, 1 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-190

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 261
შაბათი, 1 დეკემბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 2
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კნ. დესპინე ივანეს ასული წულუკიძისა და **კნ. ოლღა ნიკოლოზის ასული წულუკიძე**, პირველი დედა და მეორე და, აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას, ორ ქრისტეშობისთვეს, დილის ათ საათზე, ქალ. ქუთაისში ქუთაისის საკათედრო სობოროში, გადახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ყაბარდინის პოლკის პოდპორუჩიკად ნამყოფის

თ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძის წულუკიძის

სულის მოსახსენებლად. (1—ნ—1)

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 2 დეკემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

გამართული იქმნება:

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

I

მეორედ გაყმაწვილება

დრამა 4 მოქმედ. გადმოკ. თავ. დავით ერისთავისაგან.

II

არკადიას სადილი

სცენები 2 მოქ. ქარვასლის ნოქრების ცხოვრებიდგან, ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი და სხ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მარიანაშვილი, იმედაშვილი, გოცირიძე, საფაროვი და სხვ. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები დაკლებულია: გალერეია 20 კაპ. პარტერი 50 კაპ. ლოჟები 3 მ. შეგირდებისათვ. კუპონები 60 კაპ. მზადდება **ა. კარგარეთელის საბენეფისოდ** ვლად. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით **„პატიოსნება“.**

(2—უ.—1)

რეჟისორი ვ. გუნია

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ყ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ბ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—13)

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—1).

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადიასტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენის ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ-აპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართული თეატრი.

შაბათს, 1-ლ დეკემბერს, გამართული იქნება ქართული

კონცერტი.

იმღერებს ბ-ნ ქორიძის ლოტბარობით გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ოც-და-ათი კაცისაგან შემდგარი, ხორო. ხორო აასრულებს ორ-სართულიანს ფერხულს. ფასი ადგილებისა დაკლებულია.

(3—უ—3)

ახალი ამბავი

⁂ როგორც „Новое Обоз.“ გადმოგვცემს, მთავრობის ბრძანებისამებრ ტფილისის პოლიცმეისტერს განკარგულება მიუღებია, რომ ქალაქის შენობების პატრონებმა მეეზოვეებად უსათუოდ სამსახურიდგან გამოსული სალდათები დაიქირაონ. ეს განკარგულება უნდა აასრულონ მომავალ წლის 16-ს იანვრიდგან, ე. ი. მეეზოვეთა ინსტიტუტის შემოღებისათანავე.

სასურველია, ქალაქის გამგეობა ახლა მაინც გამოფხიზლდებოდეს და ხელს მოჰკიდებდეს მეეზოვეთა საქმის გარიგებას. ჩვენში ბევრი მოიძებნება სალდათად ნამსახური ახალგაზდა. სასურველია მათი მეეზოვებად დაქირავება, მეტადრე ამ განკარგულების შემდეგ, რადგანაც ტფილისის წვრილმან შენობების პატრონთ ბევრს იმდენად სამშობლო ენის გარდა სხვა ენისა არა ესმისრა, ასე რომ, როსტოველი, თუ მეეზოვედ დაუქირავეს, ერთი თარჯიმანიც მეეზოვესთან გამოსალაპარაკებლად დასჭირდება.

⁂ 29 ნოემბერს ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას სხდომა ჰქონდა. სხვათა შორის კომისიამ განიხილა ტფილისის სახელოსნო დირექტორის მოხსენება, რომელშიაც დირექტორი ატყობინებს, რომ სკოლის სახელოსნოს გასაფართოებლად შეიძინა სხვა და სხვა საჭირო ნივთები, სულ 1266 მან. 7 კაპ. აქამდე ამ სკოლის სახელოსნოში 190 კაცის ადგილი იყო, მოსწავლეთა რიცხვი-კი 240 ყმაწვილს აღემატება. სკოლის სახელოსნოს რიგიანად მოსაწყობად დირექტორი სთხოვს კომისიას შუამდგომლობას, რომ აღნიშნული 1266 მან. გადადებულ იქმნას ქალაქის საბჭოსაგან. კომისიამ გარდასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა საბჭოსთან, რომ დაკმაყოფილებულ იქნას დირექტორის თხოვნა. ამავე სხდომაზედ კომისიამ გარდასწყვიტა ახლო მომავალში განსაკუთრებული სხდომა დანიშნოს, რომელზედაც უნდა მოიწვიოს ქალაქის სკოლების გამგენი იმის თაობაზედ მოსალაპარაკებლად, თუ როგორი გასართობები უკეთესი იქნება შემოიღონ ქალაქის სკოლებში მოსწავლე ბავშვებისათვის.

⁂ მიწათ-მოქმედების სამინისტრო იხილავს დიდისხნის წინად აღძრულს საკითხს—ამიერ-კავკასიაში საზღვარ-გარეთიდგან შემოსატან აბრეშუმის თესლის გაშინჯვა სავალდებულოდ გახადონ, თუ არა?

⁂ დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ თეატრში დანიშნულია ქართული კონცერტი მომღერალ-არტისტის ფილიმონ ქორიძის ხოროსი მისივე ლოტბარობით.

კონცერტი სამ განყოფილებისაგან შესდგება. პირველ განყოფილებაში შემდეგ საერო ხმებს იმღერებენ: 1) მგზავრულს, 2) სუფრულს, 3) მრავალჟამიერს, 4) ალიფაშას, 5) პატარა საყვარელს, 6) ლაშქრულს და 7) შევკრათ წითელ-წითელი. მეორე განყოფილებაში: ითამაშებენ ხორონს (ფერხულს) ისე, რომ ერთი წყება მაცეკვართა მხრებზე შეადგება მეორე წყებას, იმღერებენ: 1) „ხბოს“ 2) ფაცხას, 3) მაყრულს, 4) მუშურს, სიმინდის თოხნის დროს, 5) ხელხვავს და 7) ინდი-მინდის. მესამე განყოფილებაში: 1) მონადირეთა სიმღერას, 2) ბროლის ყელს, 3) გალიაში გამოგზარდე, 4) ხასანბეგურს, 5) მასპინძელსა მხიარულსა, 6) მოგონებას და 7) აბა დელიას (მარშის ჰანგია).

როგორც ხედავთ, კონცერტის პროგრამაში შედის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ჰანგები: ქართლური, კახური, იმერული, გურული და მეგრული.

ბ-ნი ფ. ქორიძე ჩვენი სამშობლო მუსიკის უხუცესი მოღვაწეა. მან 25 წლის წინად პირველმა მოჰკიდა ხელი და მიაპყრო თავისი სპეციალურად განვითარებული სმენა ჩვენს ღვიძლს მოტივებსა, გადაიღო ისინი ნოტებზე და მით გადაარჩინა ისინი საბოლოვოდ დავიწყებას და შესძინა ქართულს მუსიკას არა ერთი განძი. იმავ თავითვე ბ-ნი ქორიძე საერო სიმღერებს გარდა ნოტებზე იღებდა საეკლესიო გალობას და აგრეთვე ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში მსურველთა გუნდებს ასწავლიდა საერო სიმღერებს. ერთი ამ მსურველთ გუნდთაგანი არიან ის ოც-და-ათი ყმაწვილი კაცი, რომელნიც დღეს, ჩაქურად გამოწყობილნი, ბ-ნის ქორიძისავე ლოტბარობით ჰმართავენ კონცერტს ადგილების ფასების ძლიერ დაკლებით.

⁂ ხვალ, 2 დეკემბერს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება რუსეთიდგან გადმოსახლებულთა დამხმარებელ ტფილისის საზოგადოების წევრთა. კრებაზედ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გარდა მოხდება არჩევნები გამგეობის თავჯდომარის, წევრებისა, ხაზინადრისა და მდივნისა.

⁂ რკინის გზის მიმოსვლა და ფოსტის გზავნა გუმბრსა და ერე-

ვანს შუა, „Нов. О.б“ სიტყვით, დაიწყება ამ თვეში. თვით ერევნის შტო გადაეცემა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას მომავალ წლის ივლისში.

⁂ როგორც „Тиф. Л.“ გაუგონია, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ტფილისში მეეზოვეთა ინსტიტუტის დაარსებისათანავე—1902 წ. იანვრის 15-დგან, თუ მოესწრო, დააარსოს აგრეთვე ადრესის სტოლიც. პეტერბურგის ადრესის სტოლისათვის მიუწერიათ, ერთი ამ საქმეში გამოცდილი კაცი გამოგვიგზავნეთ ტფილისში ხელმძღვანელადაო.

⁂ ტფილისის მცხოვრებმა ანნა ოჰანეზოვისამ ამას წინად ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას სთხოვა, თუ კომისია მოისურვებს, ჩემს სახლს გადავაკეთებ ისე, რომ ავლაბრის მესამე სასწავლებელი მოთავსდესო. კომისიამ განიხილა ეს განცხადება 29 ნოემბრის სხდომაზედ და გარდასწყვიტა მიანდოს კომისიის წევრს ა. ს. ბაბოვს დაათვალიეროს ოჰანეზოვის სახლი და შემდეგ მოხსენება წარუდგინოს კომისიას.

⁂ მცხეთის სადგურიდგან გვწერენ, რომ ამ თვის 29-ს № 149 მატარებელზე შეხტომა მოუნდომებია ტფილისის მოქალაქეს სტეფან სოლომონის ძეს გასპაროვს, მაგრამ ფეხი დასცდენია და უკანა ვაგონის ბორბლებს მოჰყოლია. გასპაროვს მარცხენა ფეხი მოსტეხია. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

⁂ სამტრედიის სადგურიდგან გვატყობინებენ: 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ, ჯიხაისში მცხოვრებს რომანოზ აბზიანიძეს დაეტაკა ორთქლმავალი № 516, წელი და გვერდი საშინლათ დაუშავა. ავადმყოფმა უარი განაცხადა ლაზარეთში გაგზავნაზედ.

⁂ სადგურ განჯიდგან იუწყებიან: 28 ნოემბერს, დილის 11 საათზედ მე-449 ვერსზედ, მუშა მამედ-ახპერ-ოღლი რელსით დატვირთულ პატარა ვაგონ ქვეშ მოჰყვა და მძიმედ დაშავდა. ავადმყოფი გაჰგზავნეს ტფილისის რკინის გზის ლაზარეთში.

⁂ რკინის გზის სკოლის ათის-წლის იუბილეის აქტი, რომელიც დეკემბრის 6-სათვის იყო დანიშნული, როგორც შევიტყეთ, 16 დეკემბრისათვის გადაუდვიათ

⁂ 28 ნოემბერს ლაზარევის ქუჩაზედ ტფილისის მოქალაქეს ნიკოლოოზ სარქისას ძე ალიხანოვს თავს დასცემია სამი ვილაც ბოროტ-განმზრახველი, რომელთაც მისთვის პირი შეუხვევიათ, წაუთრევიათ სურფ-ნორაშნის ხრამისაკენ და იქ წაურთმევიათ ვერცხლის საათი, 45 მან. ფულად და სხვა ნივთები, სულ 90 მანეთისა, და გაქცეულან. კარგა ხნის ძებნის შემდეგ პოლიციელს მაჰავარიანს მიუგნია ერთი ამ მაწანწალა ქურდთაგანი, რომელიც ტფილისის მოქალაქე გიგოლა მიკოლას ძე ნოვოსორტოვი აღმოჩნდა.

თეატრის მატიანე

ქართული თეატრი

„შვილის ცოდოსათვის“ დრამ ეპიზოდი 3 მოქმ. ვ. გუნიასი.

„არივ-დარია“, კომ. 1 მოქმ.

ბ-ნ გუნიას ძალიან უყვარს ისტორიულ დრამების წერა. ისე სეზონი არ ჩაივლის, რომ ჩვენ დრამატიულ ხელოვნებას ერთი, ხშირად—ორი და სამი, ახალი „ორიგინალური“ ისტორიული დრამა არ შესძინოს. წელსაც არ დაგვტოვა უნუგეშოდ და წარსულ ხუთშაბათს, ბ-ნ გამყრელიძის ბენეფისის დროს, თავისი ახალი ისტორიული დრამა „შვილის ცოდოსათვის“ გვაჩვენა. არ გამოუდგებით დრამის ავ-კარგისა და შინაარსის დაწვრილებით გამორკვევას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ისტორიულ დრამასაც იგივე ნაკლულებანი და ღირსებანი აქვს, რაც იმავე ავტორის სხვა დრამებს. ისტორიულ დრამაში, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული არაფერია ტანისამოსისა და მომქმედ პირების სახელ-გვარების გარდა. შემდეგ, როგორც მხატვრული ნაწარმოები, იგი მეტად სუსტია. ავტორს ორი კაცი გამოჰყავს, რომელთა დახასიათებასაც ჰლამობს დრამის სამს მოქმედებაში—მოხუცი ბეჟან ბენაშვილი (გამყრელიძე), ქვეყნისათვის თავდადებული და საერთო საქმის ერთ-გული, და იმისი შვილი ზალიკო, ცუღლუტი, სულ-მდაბალი ადამიანი, ფულის გულისათვის ქვეყნის გამყიდავი და მოღალატე. ზალიკო საიდუმლოს უმჟღავნებს ტფილისში გაბატონებულ სპარსელებს, აჰერინებს წარჩინებულსა და ცნობილს მამულიშვილს მუხრან-ბატონს, ხოლო იმისი მამა, მოხუცი ბეჟან თავსა სწირავს ამ მამულიშვილისთვის, იმის ტანისამოს იცვამს საპყრობილეში და მტერს ახვრეტინებს თავს.

დრამის ღირსებას ის შეადგენს, რომ იგი სცენისათვის კარგად და მოხერხებულად არის დაწერილი. ამას გარდა არც ეფექტებსაა მოკლებული. სიმართლე უნდა ვაღვიაროთ, რომ დამსწრეთაგან ახალი დრამა ვ. გუნიასი ბევრს მოეწონა. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ არტისტებმა ჩინებულად ჩაატარეს იგი. თითქმის ყველა მსახიობმა კარგად შეასრულა თავისი როლი.

მეტად მხიარულად და კარგად ჩაიარა ვოდევილმა „არივ-დარიამ“. ქ-ნ ჩერქეზიშვილისამ და ტასო აბაშიძემ, ბ-ნთ გამყრელიძემ და აწყურელმა თავიანთის მოხდენილის თამაშობით ძრიელ აცინეს საზოგადოება. თვით ვოდევილიც კარგია.

შემდეგ გამართულ იქმნა დივერტისმენტი. თავ. აკაკიმ წაიკითხა რამდენიმე ლექსი. საზოგადოება აღტაცებით მიეგება საყვარელ მგოსანს. სოფრონ მგალობლიშვილმა რამდენიმე სცენა წაიკითხა გლეხთა ცხოვრებიდგან; ნ. გაბუნია-ცაგარლისამ შეასრულა ქართული ხმები. ბევრი აცინეს საზოგადოება კ. შათირიშვილმა და ვ. ურუშაძემ, პირველმა კუპლეტებით დღიურ ვარამზედ, ხოლო მეორემ გურულ სცენებით. დასასრულ ლეკური და კინტოური იცეკვეს.

თეატრი თითქმის სავსე იყო ხალხით. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

ქუთაისის თეატრი

,,ავადმყოფი ხალხი'' დრ. 2 მოქმ. ჰაუპტმანისა.

,,მშვენიერ ელენეს მაძიებელნი'' ფარსი 2 მოქმ. ა. ცაგარლისა

ჰერგარდ ჰაუპტმანმა სულ-მოკლე ხანში მოიპოვა ნიჭიერის დრამატურგის სახელი ევროპასა და რუსეთში. მისი პიესები ყოველთვის დიდ-ძალ საზოგადოებას იზიდავს თეატრში, ყოველ მის პიესას მოუთმენელის ცნობის-მოყვარეობით ელის საზოგადოება. ამიტომაც მადლობის ღირსნი არიან ჩვენი მსახიობნი, რომ აცნობენ საზოგადოებას ამ დრამატურგის პიესებს. „ავადმყოფი ხალხი“, როგორც საერთოდ ჰაუპტმანის ყველა პიესა, მეტად ძნელი წარმოსადგენია. ხსენებული დრამა უფრო იმით არის ძნელი ასასრულებელი, რომ მომქმედ პირად თითქმის არც ერთი ნორმალური ადამიანი არ არის გამოყვანილი: მთელი ოჯახი დოქტორ შოლცისა ავადმყოფთაგან შესდგება, ნერვებ-აშლილ ხალხთაგან; ერთმანეთისა იმათ არა გაეგებათ-რა. ეს გაუგებრობა კიდევ უფრო აბრაზებს მათ, ანჩხლობენ, იტანჯებიან, სდევნიან ერთი მეორეს და, თითქო ჯ ცდილობენ ამით მაინც დაიმშ დონ თავისი მოწამლულ გულის მღელვარება.

ამ წარმოდგენაში თავი ისახელ ბ-ნმა მესხიშვილმა (რობერტი). რობერტის როლი საუკეთესოდ უნდ იყოს მიჩნეული პატივცემულ მსახიობის რეპერტუარში. იშვიათად გვინახავს ჩვენს სცენაზე ასე უნაკლულო გაპიროვნება მსახიობის მიერ რომელისამე ტიპისა, ასე სასაუცხოვოდ შესისხლ-ხორცება როლისა. მესხიშვილის თამაშობა გავიწყებთ, რომ სცენაზე მსახიობს უყურებთ. თქვენს წინაშე იყო რობერტი—ავადმყოფი, ნერვებ-აშლილი, ანჩხლი, გულ-კეთილი, თვით დატანჯული და სხვისაც მტანჯველი. საზოგადოება სულ განაბული ადევნებდა თვალ-ყურს საყვარელ მსახიობს და იმ უსიტყვო სცენის დროს, როდესაც რობერტი საშინელ სულიერ ბრძოლას განიცდის, თეატრის დარბაზში ისეთი სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რომ ჟრუანტელი დაგივლიდათ ტანში. დოქტორ შოლცის როლი ზედ გამოჭრილია ბ-ნ კ. ყიფიანისათვის, რომელსაც ყოველთვის ეხერხება მძლავრი ბუნების გამოხატვა, როგორც მეფე ლირის, შეილოხას და სხ. წარმოდგენაშიც ბ-ნმა ყიფიანმა ჩინებულად შეასრულა თავისი როლი. ვილჰელმის როლი სრულიად არ შეეფერება ბ-ნ ბალანჩივაძის ნი და კიდევაც ვერ ითამაშა კარგად ქ-ნ გვეთაძეს, სიმართლე უნ ვთქვა, გაუმჯობესება ეტყობა თან-და-თან. ანჩხლ ავგუსტას როლი, მიუხედავად მისის სიძნელისა, ქ-ნმა გვეთაძემ რიგიანად ჩაატარა, მ თამაშს მეტი დაკვირვება და ბუ ბრივობა ეტყობოდა. ქ-ნმა ივანიძ მგრძნობიერათ შეასრულა ფრა შოლცის როლი. ქ-ნმა თათეიშ

ფელეტონი

—

გურიის ავ-კარგი.

(ფიქრი და შენიშვნები სუფსიდგან).

ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა ძალიან მოუხშირეს ჩვენის ერის სხვა-და-სხვა გვარ გაჭირვების შესახებ წერას: ვწერთ თავად-აზნაურობისა, სოფლისა, ამხანაგობისა, სკოლებისა და სხვათა შესახებ. ყველაფერზედ ბევრი მელანი და კალამი გვეხარჯება, მსჯელობაც ბევრნაირი გვესმის, მხოლოდ, საუბედუროდ, ერის მთავარს ძალას, ესე იგი სოფელსა და სოფლის მცხოვრებთ, ჩვენი ხმა ან სულ ვერა სწვდება, ან თუ სწვდება, ისე სუსტად, რომ ანგარიშში ჩასათვლელიც-კი არ არის. ვწერთ, ვწუწუნებთ სხვა-და-სხვა გაჭირვებათა შესახებ ისე, თითქოს განგებ გვინდა ჩვენის ერის მთავარს ძარღვს ეს ხმა ასცილდეს და მეორე დღესვე დავიწყებას მიეცეს.

სოფელს ცუდი დღე დაადგა: სიღარიბემ საშინლად ჩაჰკრა თავში. დროა სოფლის ინტელიგენცია ღრმად ჩაუკვირდეს ამ მოვლენასა და, რამდენადაც შესაძლოა, სოფლის ტკივილების შემსუბუქებას ეცადოს; მწერლობა, გაზეთი, აი, რა უნდა იყოს ამისთვის საშველი იარაღი! თვითვეული ჩვენგანი ვალდებულია გამოაქვეყნოს იმ სოფლების ავ-კარგი, სადაც თვითონ გაზრდილა და უცხოვრია და რომლებსაც იგი დაახლოვებით იცნობს. სახეში მყავს, ბატონებო, ისეთი პირები, რომელნიც სოფლის დღევანდელს ჭირვარამს ჰხედავენ და რომელთაც სამშობლო მხარის ტკივილები საკუთარ ტკივილებად მიაჩნიათ. ასეთმა კაცებმა უნდა ხელი მოჰკიდონ თავიანთ სოფლებისთვის საკეთილდღეო მუშაობას, რა გზითაც შეუძლიანთ, პატარ-პატარა ნაწილები-კი შეჰქმნიან მთელს სხეულს.

ჩვენნი წინამოადგილენი მუშაობდნენ და იბრძოდნენ იმ დროს, როცა არც ხალხს რამე გაეგებოდა, არც თვით ამ მუშაკთა რიცხვი აღემატებოდა დღევანდელთა მეასედს. დღეს-კი გურიის თითქმის ყველა სოფელსა ჰყავს რამდენიმე შეგნებული კაცი, რომელთაც თავის ერისადმი სიყვარული არ აკლიათ; საჭიროა მხოლოდ გაჭირვების ახლოვე დაკვირვება და პატარ-პატარა საზოგადო საქმეების მომავალის გათვალისწინება.

არ გვიფიქრია და არც ვფიქრობთ, რომ ვინმეს სასწაულთ-მოქმედება შეეძლოს და ცხოვრების ჩარხი თავისას სურვილისამებრ დაატრიალოს. გზა ცხოვრებისა ვერ შებრუნდება ინტელიგენციის სურვილისამებრ, მაგრამ ამა თუ იმ მოვლენის მალე დანახვა და იმის მიხედვით ტკივილების შემსუბუქების ცდა ინტელიგენციის მოვალეობაა.

დღეს ჩვენში გარდამავალი ხანაა; საშინლად საგრძნობია ეკონომიური კრიზისი. ამ კრიზისის შესასუმბუქებლად უნდა ავამუშაოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, რამდენადაც ეს შესაძლოა. წლევანდელმა წელიწადმა თვალები უნდა აგვიხილოს; ზემო გურია ხომ უიმისოდაც მწირი და უბარაქოა, ქვემოს-კი წელს დიდი უბედურება ეწვია. ვშიშობ, შიმშილობამ თავი არ იჩინოს.

სიმიდის ჭია ყველგან მოდებულია, ძველი სიმიდი დაილუპა, ახალიც ხელიდგან გვეცლება; ვინ იცის, დარჩება თუ არა სათესლე იმ თვალ-უწვდენელ სასიმინდე მინდვრებისათვის, რომლებმაც მთელი გურია, მუშა და არა მუშა, ორივე ერთად უნდა გამოკვებოს და დააკმაყოფილოს ათასი კანონიერი და არა კანონიერი მოთხოვნილებანი, რომლებიც გლეხს კისერზედ აწევს და რომელთა სახელიც ლეგიონია.

წელს თვალს გვახელინებს სიმინდის პეპელა. ეს შემთხვევითი მოვლენაა, მხოლოდ ჩვენის სოფლების ახლანდელი გაჭირვებისა და დაღარიბების მიზეზები კიდევ უფრო შორს, წინა წლებში, უნდა ვეძიოთ. აგერ, ათი-თორმეტი წელიწადია სიმინდის ფასი უცებ საშინლად დაეცა და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ აწეულა ზევით.

რუს-ოსმალოს ომის შემდეგ დაბა შეკვეთილის გზით (ზღვის პირზეა) სიმინდმა ათი-თორმეტის წლის განმავლობაში ჩვენში კარგა ბევრ ფულს მოუყარა თავი. მას შემდეგ უცებ ფასის დაცემას ჩვენ სრულიად მოუმზადებელნი შევხვდით. ვინ იცის, რამდენჯერ გაყიდულა დაბა შეკვეთილში ფუთი სიმინდი მანეთად! მაშინ ფულიც არ იყო ასე საჭირო. ახლა-კი უფულოდ ფეხს ველარა ვდგამთ.

საერთო კრიზისი დადგა. ძიდის დრო და ჩვენის სოფლების მკვიდრთა უმრავლესობა ისევ ისე კარჩაკეტილია, ისევ მამა-პაპისეულს კავ-სახნისს ჩასჭიდებია. ამას მივუმატოთ ახლა ისიც, რომ როცა ერთი წელიწადი საშუალო მოსავლიანია, ორი ძლიერ მცირე მოსავალს იძლევა; ბუნებაც გადაგვემტერა წყალ-დიდობითა და ხშირის წვიმებით ტყეების გაჩეხის გამო, ყურძენიც ხელიდგან გვეცლება. ყველა ამას თუ გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ გაჭირვება თან-და თან გვიახლოვდება, თითქმის კარზედაც მოგვადგა.

შედით გურულ გლეხის ოჯახში და მწარე სიღარიბეს ჰნახავთ; დააკვირდით კარგად სახეზედ სოფლის მუშას, გეგონებათ—სისხლი გაშრობიაო: რაც სიღარიბე გვეწვია, ტანის კვებამაც საარაკოდ იკლ და ეს ჟინჟღლივით სახე-განათ ბულ კაცების მოდგმა თან-და-თა სუსტდება, ქიავდება. ბავშვები ხ კიდევ უფრო სუსტები არიან. გ დამეტებულს არას მოგახსენებთ, თ მიიხედ-მოიხედავთ.

მართალია, ცხოვრებამ ამოაცუ ზევით თითო-ოროლა სოფლელი ცოტა ფულიც შეაძლებინა, მაგრ სოფელი სრულებით გაუბარაქოვდ ფულიც რომ გქონდეს, საჭმე ვერ იშოვნი, თანაც გლეხს ისე დ დი უღელი აწევს, ლამის წელ გაწყდეს...

სხვა-და-სხვა გვარ გარდასახად ბისა გამო ბევრი გარბის ქალა საკენ. სხვები თუ არა, ქვემო გ რიის სოფლები მაინც ამ გზაზ დიდის სისწრაფით მიექანები შლიან სოფელში დედა-ბუდეს ან ოზურგეთისაკენ მირბიან, ბათომისაკენ, ან რკინის გზის სა გურებისაკენ. უმეტესობა მთლ ეთხოვება სოფელს, ზოგიც ჯერ-ჯ რობით სამსახურით აპირებს თა დარჩენას. ამ მხრით მიქელ-გაბრ ლისა და ჩოჩხათის საზოგადოებ მაინც შესამჩნევნი არიან დაბლ გურიაში, თუმცა ორისავე საზო დოების თორმეტივე სოფელი ნებით უხვნი არიან.

სუფსის სადგურის არე-მარე გვარად გამოქცეულებმა გააშენ რაც დღეს სუფსაში მცხოვრებ

ლი იდას როლში მეტად სუსტი იყო მართალია, ეს პირველი გამოსვლაა მისი ასეთ ძნელ როლში და ვნახოთ, შემდეგში რა იქნება. საზოგადოება ალტაცებით იწვევდა მსახიობთ, განსაკუთრებით მესხიშვილსა და ყიფიანს. ფარსმა მხიარულად ჩაიარა ბ-ნთ ბალანჩივაძის, თუთბერიძისა, ქუჯის და ქ-ნ ივანიძის წყალობით.

Homo novus.

სასოფლო მეურნეობა.

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

საზღვარ-გარეთ აბრეშუმეობის ალებ-მიცემობაში დიდი მყუდროება სუფევს. ამას წელს არავინ მოელოდა იმის შემდეგ, რაც ივნისში, პარკის მოსავლის დროს, ფასებმა ერთბაშად მოიმატა და მოთხოვნილებამ გაიღვიძა. კილო პარკის ფასი რვიდგან ცხრა ფრანკს ზევითაც ავიდა. მაშინ ყველა ელოდდა, რომ ოქტომბერ-ნოემბრისათვის, თუ ძველი ფასი არ დაბრუნდებოდა, ათ ფრანკამდის მაინც ავიდოდა ერთი კილო პარკის ფასი. თუმცა გამყიდველებს ჯერ იმედი არ დაუკარგავთ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დღემდის ეს მოლოდინი გაცრუებულია. უკანასკნელის ცნობებით, მარსელში ჩვენებური თეთრი პირველ ხარისხის პარკის კილო რვა ფრანკად და 65 სანტიმიდან 8 და 75-ად გაყიდულა („რანდმანი“ ფუთი 56—57 მანეთამდის). მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას ამავე ფასებში (კილო 8 ფრ. 80 სანტიმად) გაყიდული აქვს დღემდის მარტო ხუთი ათასი კილო. ამ დღეებში მიღებული დეპეშა გვაცნობებს გამყიდველების გამხნევებას და ფასების შემაგრებას, ესე იგი, გამყიდველებს იმედი მისცემიათ, რომ ფასები მოიმატებს და არ დაიწევს. ვნახოთ შემდეგში.

23 ნოემბერი.

ნესტორ წერეთელი

საწევრო ფულის მოგროვება.

ამ უკანასკნელ „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიურ კრებაზე ცხარე ბაასი გამოიწვია იმ განცხადებამ, რომ საზოგადოებას სულ ცოტა ფული შემოუდის წევრებისაგანაო. ხსენებული განცხადება სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, საზოგადოების ნამდვილ წევრად 600—700 კაცია ჩაწერილი, ხოლო საწევრო ფულიკი 600--700 მანეთზე მეტი არ შემოდის. ახალი გამგეობა, რასაკვირველია, ახალ წეს-წყობილებას შემოიღებს საწევრო ფულების უფრო მეტ შესაკრებად. ჩვენ, ჩვენის მხრივ, ერთ ძველად შემოღებულ წესს დაუსახელებთ და შეიძლება ეს წესი ახალ გამგეობის დროს ძველებურ გზას არ დაადგეს და თუ მაინცა და მაინც თავისი ძველებური ჩვეულება არ მოიშალა, ერთს რასმე სარგებლობას მაინც მოიტანს, რასაც მკითხველი ქვემოდ დაინახავს. ამ წელიწად ნახევრის წინად საზოგადოების კანცელარიაში შედგენილ იქმნა წევრთა სია, რომელშიაც აღნიშნული იყო ვინ როდის გაწევრდა, ვინ როდის და რამდენი ფული შემოიტანა და ვისზე რამდენი წლის და რამდენია დარჩენილი; ამ სიის მიხედვით მაშინ დაგზავნილ იქმნა წევრებთან წერილები, მაგრამ ამ წერილებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩვენ გამგეობას ურჩევთ ეს წესი ერთხელ კიდევ სცადოს, მოაგონოს წევრებს, რომ მათზე საწევრო ფულია დარჩენილი, თუ ძველებურად სხვები არას შემოიტანებენ, ექიმი ბ-ნი ხუდადოვი „ამ სხვების“ ფეხის ხმას არ აჰყვება და საწევრო ფულს 114 მან. შემოიტანს, მით უმეტეს, რომ მან 4 ამა ნოემბერს საზოგადო კრებაზე განაცხადა: „ჩემთვის რომ ვისმე მოეგონებია, საწევრო ფულს აქამომდე შემოვიტანდი“ო. ჩვენის აზრით, ძველად შემოღებული წესი ამ ერთს სარგებლობას მაინც მოიტანს.

ა. ყუმისთაველი.

დაბა და სოფელი

სოფ. ფშაველი (თელავის მაზრა). 22 ნოემბერი. ვის მადა აქვს და ფლავი ვის უდგია, ნათქვამია. ვის ფართო უფლება აქვს მინიჭებული თავისის თავის საშველადა და საკეთილოდ და ვის ენატრება ამ გვარი მდგომარეობა! აქ მოტანილი ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია ჩვენის სოფლის მოხელეებზედ, რომელთაც უთვალავის სიკეთის მოტანის უფლება აქვთ თავიანთ სამწყსოთათვის, მაგრამ თავიანთის სიბრიყვითა და გაუგებრობით არამც-თუ აკეთებენ რასმე, თავისს კეთილის მრჩეველთაც არაფერს უგონებენ. რაც უნდა ბევრი უქადაგო, არწმუნო, უმტკიცო მაგალითებით, რომ თქვენთვის და თქვენდა რწმუნებულ სოფლელთათვის, მაღალმა ღმერთმა ხომ იცის, სიკეთის მეტი არასფერი არ მინდაო,—მაინც ვერ შეაგნებინებ, მაინც ვერ დააჯერებ. ისევ რომელსამე სოფლის მარჯვკალ-მანდილოსანს, სოფლის დედაბერს მოუსმენენ. ამათ რჩევასა და სიტყვებს ჭეშმარიტებად მიიღებენ, თქვენსასკი, პატივცემულო მკითხველო, არა და არა.

ხომ ამბობენ, ვითომ მამა კაცი ჯერ კიდევ ძლიერებასა ნიშნავდეს, ხოლო დედაკაცი უძლურებას, მაგრამ სოფელში დედაკაცი დიდ ძალას წარმოადგენს. რათა? იმიტომ რომ სოფლის დედაკაცი ბუდეა დრო-მოჭმულ ჩვეულებათა და ნავთსაყუდელია ცრურწმენათა. ყოველი სოფლის დედაკაცი ამ ცრუ ჩვეულება-რწმენათა მიხედვით ატრიალებს მთელს ოჯახს მამით-შვილამდე. ახლა ავიღოთ მთელი სოფლის დიაცთა კრებული და ვიფიქროთ—ერთად რა ძალას შეადგენენ!..

მართალია, სოფლის მოხელეებს ნაუწყები აქვთ და ამ ნაუწყებს ყოველ-დღე აგონებენ და უმეორებენ, რომ სოფლის და სოფლელთა გასაჭირი, გადამდები სენი იქნება იგი, თუ სხვა რამ, დაუყოვნებლივ აცნობეთ უფროს მოხელეთაო, რომ რაიმე ღონე იღონონ, წამალი რამ გამოგიძებნონ დროზეო,—მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ამათ ეს ბაიბუადაც არ ესმით! სოფლის მარჯაკალ-დედაბერთა ნაუბარი ამათთვის უფრო ხელსაყრელი და ჭკუაში მოსასვლელია.

ავიღოთ შემდეგი მაგალითი: სოფ. ფშაველი და სოფ. ლალისყური ისე ახლო არიან ერთმანეთზედ, რომ შუა სულ ერთი მომცრო მდინარის რიყე უძევთ, რომლის სიგანეც ვერსზედ ნაკლები იქნება. ს. ლალისყურში ზაფხულშივე იყო გავრცელებული გადამდები სენი ქუნთრუშა ყელის ტკივილით, რომელიც ბავშვებისა დიდი მტერია. არ ვიცი, ლალისყურის მოხელეებმა ეს ამბავი აცნობეს ვისმე, ან იყო ვინმე იქ ამ სენის შესამოწმებლად, თუ არა, მაგრამ უფრო-კი სარწმუნოა, რომ არავისთვისაც არ შეუტყობინებიათ, რადგანაც არც ერთს სოფლის მოხელეებს არ აკლიან დამრიგებლი დედაბერები, რომელთა შეხედულებითაც გადამდები სენი ღვთისაგან მოვლენილი „ანგელოზია“. დადგა ენკენისთვე და ამ სენმა ს. ფშაველშიაც ამოჰყო თავი, რასაკვირველია, ფშაველლებისავე მეოხებით, რომლებიც ნათესავთა ჭირსა და ლხინში დაიარებოდნენ ს. ლალისყურში. ამ თვეში სენმა მარტო ორიოდე ბალღი გაგზავნა საიქიოს, რადგანაც ჯერ ორიოდე ოჯახზედ მიუწვდებოდა ხელი. დადგა შემდეგ ღვინობისთვე. დაიწყო სოფლელთა ერთმანეთში მისვლა-მოსვლა (წირვებსა და ქორწილებში) და ქუნთრუშასაც ნიადაგი გაუჩნდა, რომ ფრთები გაეშალა; მოედვა ნახევარს სოფელს და ათზედ მეტი ბავშვი გაისტუმრა მოუსავლეთის ქვეყანას. აგონებ მოხელეებს: აცნობეთ მაზრის უფროსს, რომ ექიმი გამოგზავნოს, რომელიც შესაფერს განკარგულებას მოახდენს, ხალხს დარიგებას მისცემს, თუ როგორ მოიქცნენ ამ სენის წინააღმდეგ, ან ავადმყოფებს როგორ მოუარონ და სხ., მაგრამ გადის მესამე თვე, სენი უფრო და უფრო ვრცელდება, მშველელი და დამრიგებელი-კი არავინა ჩნდება. ეჭვი არ არის, ბრალი მოხელეებს ედებათ, რომლებიც მანდილოსან-დედაბერების რჩევას უგონებენ. ეს უკანასკნელნი-კი დაუღალავად ჰღაღადებენ: „დაილოცონ მშვიდობიანი „ანგელოზებიაო“, რა საჭიროა „დოხტურიო“, „ანგელოზების“ წინააღმდეგ ვინ რას იზამსო, „წერა-მწერელს“ ვინ სად დაემალებაო, „დოხტურს“ მოიწვევთ, ლოგინებს დაგიწვავთო“... და დაჰქენაობენ აღმა-დაღმა და გარდიგარდმო სოფელში, უკანაც უსუსურ ბავშვებს იდევნებენ, არსად გაფრთხილება, არსად ყარაული

იმაზედ სამჯერ მეტი იქნებოდა ახლა და აქ პატარა ქალაქიც მალე გამოიჭიმებოდა, რომ უმიწობას ხელი არ შეეშალა. მიწა აქ თ-დთ გურიელებს ეკუთვნის. შვიდის წლის წინად საგურიელოზედ დაწესებულ იქმნა „მზრუნველობა“ და მით შეჩერდა გლეხების მიერ სამოსახლოების სყიდვა. ვისაც რამ პირობით ნაყიდი ჰქონდა, ზოგი დასახლებული იყო, ზოგიც კანტი-კუნტად ესახლებოდნენ. გათავდა შარშან „მზრუნველობა“, მამული თ-დ გურიელთა შორის გაიყო; ახლა-კი შესაძლო იყო სამოსახლოების სყიდვა საფუძვლიანად, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მამულთა უმეტესმა ნაწილმა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში ამოჰყო თავი. ვინც არ დააგირავა, იმათ არც გასასყიდად ემეტებათ. ამ რიგად სუფსის ბუნებრივს ზრდას ამ მხრივ გაუჩნდა დაბრკოლება. დამცინავს ბედს ჩვენი საქმე ისე მოუწყვია, რომ ვინც შრომაში წელებზედ ფეხს იდგამს, იმათ ფეხის დადგმა მიწაც აღარ მოეპოვებათ.

თავის გამოდება გვმართებს სწორედ! თუ დროზედ თავს შევიტკივებთ, ფულს შევაგროვებთ და სუფსის არე-მარეში საერთო ძალით სამოსახლოების სყიდვას მოვინდომებთ, არა მგონია „კახაბერის“ შთამომავლებმა შემწეობა არ აღმოგვიჩინონ და მით სუფსის ბუნებრივს ზრდა-განვითარებას ხელი არ შეუწყონ. ფოთი-ოზურგეთის გზა, ადრე თუ გვიან, უთუოდ უნდა გაკეთდეს და მაშინ სუფსაც მოხდენილად გაშენდება იმ გზის შუაზედ, რომელსაც მთელის გურიისათვის დღესაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, თორემ მაშინ ხომ ეს მნიშვნელობა ერთი-სამად იმატებს.

საჭიროა სოფლის შეგნებულმა კაცებმა ამ გარემოებას ყური ათხოვონ და სიტყვა საქმედ აქციონ. სოფელში საშინელი სივიწროვეა, მიწა გამოიფიტა; უნდა ვეცადნეთ მოვაშოროთ სოფლებს ის ნაწილი, რომელიც იქ ველარ იცდის და დავაბინავოთ იქ, სადაც მეტს ძალას გამოიჩენს ცხოვრების საერთო ბრძოლაში. მაგალითისათვის მოვიყვანე სუფსა და იმისი მახლობელი სოფლები. უეჭველია, გურიის ბევრს სხვა სოფლებშიაც დღეს ესევე ხდება. ამისი მოწმეა რკინის გზის სადგურები და ქ. ოზურგეთის დღეს დასახლებული ის მიდამოები, სადაც ამ ათის წლის წინად გაქცეული ტურაც-კი არ შეჩერდებოდა. ინტელიგენციის წმიდა მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ საქმეში ხალხს.

ყველა ამანგასწყვიტა სოფელი წელში და იქაურობას თავისებური ბეჭედი დაასვა. ვინც-კი თავს უშველა და ქალაქსა და რკინის გზის სადგურებს მიაწყდა, იმის სიარულსაც-კი დაეტყო ცვლილება, არა თუ გონებრივსა და ქონებრივს განვითარებას. ქონებრივი გაჭირვება იყო მიზეზი, რომ „შუამავალი“ დავიარსეთ. გვეგონა, ჩვენს წყლულს ცოტათი მაინც არის, მალამო დაედებოდა, მაგრამ გაგვიცრუვდა იმედი. ჯერ ერთი იმითი, რომ „შუამავალის“ მეთაური იყო ქალაქი; სოფლელები კანტი-კუნტად თუ ჩაეწერნენ წევრებად, თორემ სოფლელთა ცხრა-მეათედმა დღესაც არ იცის, ვინ არის და რისთვის არსებობს ეს ამხანაგობა. მალე „შუამავალის“ წევრთა კრებები შეიქმნენ მოქალაქეთა შორის კინკლაობის მოედნად. როგორც ყველგან ჩვენში, აქაც თავი იჩინა ქართველურმა დაუდევრობამა, და ახლა ჩვენი „შუამავალი“ სულს ჰლაფავს. ჩვენში ამხანაგობებს ნიადაგი აქვს; იმათი არსებობა არა თუ შესაძლოა, დიდს სარგებლობასაც მოგვიტანს, ოღონდ საჭიროა სათავეში ჩავაყენოთ მცოდნე და რაც უმთავრესია—საქმისათვის გულ-შემატკივარი კაცები. უამისობამ ამოჰხადა სული ჩვენს ამხანაგობებსა და არა ეკონომიურმა უნიადაგობამ. ეს ნათლადა სჩანს ყველგან. „შუამავალი“ ახლა თავისთვის იყოს, მაგრამ ჩვენ-კი უნდა ვეცადნეთ ახალი პატარა საქმეები გავიჩინოთ, როგორც, მაგალითად, მესიმინდეთა ამხანაგობაა ფართო წესდებით, და გამსესხებელ-შემნახველი კასსები. ამგვარ ამხანაგობათა საჭიროება დღეს მიუცილებელია ჩვენში. მესიმინდეთა ამხანაგობა, რომლის საწევრო ფულიც ათს მანეთს არ უნდა აღემატებოდეს, ეცდება ბაზარი მოუპოვოს სიმინდს დღევანდელზედ მეტს ფასში და თუ ეს შესაძლო არ იქმნა, მაშინ ისეთს რამე საკუთარს წარმოებას დაიწყებს, საიდგანაც სიმინდი მეტს ფასს მისცემს წევრებს. გურიის დასავლეთს ნაწილში ყოველ-წლივ დიდ-ძალი სიმინდი ისყიდება; თუ ამხანაგობა ფასს ვერ ასწევს, შეუძლიან გაიჩინოს საკუთარი წარმოება და ჩვენებური სიმინდი ბაზარში სხვა სახით გაგზავნის, მაგალითად: რაკი ამხანაგობას ფული ექნება, შეუძლიან გაიჩინოს მრავალ-რიცხოვანი სალორეები საუკეთესო ღორების ჯიშისა, რაც აუარებელს სიმინდს მოითხოვს. შეღავათიანის პირობებითა თუ ფასის ნდობით საუკეთესო ჯიშის ღორებს ამხანაგობის წევრებიც შეიძენენ აქედგან და თვითონ გაიჩენენ ამგვარსავე წარმოებას. ჯერ-ჯერობით ხომ ისიც კარგი საქმე იქნება, თუ ამხანაგობა, შინაურ ვაჭრების შეფარდებით, ფუთს სიმინდზედ რამდენსამე კაპეიკს მუშას მეტს-მისცემს პირ-და-პირ გარეშე ვაჭრებთან საქმის დაჭერით.

გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი საჭირონი იქნებიან, სადაც-კი ამნაირი მოძრაობა დაიწყება. მაგრამ ვინ უნდა დაიწყოს ამგვარი საქმეები? ბ-ნს ექ. ვაშაკიძეს სოფლის ამგვარს საქმეებში მასწავლებლებისა და მღვდლების იმედი აქვს, მაგრამ ვაი რომ ტყუილი იმედებია! მღვდლებს მაგისთვის არა სცალიანთ. ძველები საიქიოს იყურებიან და უფალს „წიაღსა შინა აბრაამისასა“ განსვენებას ნამდვილ ქრისტიანულის სასოებით შესთხოვენ. ახლებმა, მართალია, სემინარიები დაამთავრეს, მაგრამ ერთად-ერთს იმედს ისევ ამ წამებულს მასწავლებლებზედ ვამყარებთ. თუ ამათ მხარში ამოუდგებიან სოფლის შეგნებული კაცები, გურიაში ეს ისეთი ძალა იქნება, რომელიც შეჰქმნის არა ერთსა და ორს ხალხისათვის საკეთილო საქმეს. სხვათა შორის ჩვენს ხსნას ქონებრივ ბრძოლისათვის შეერთებაში უნდა ვეძებდეთ და აქეთკენ ვუთითებთ ყველას, ვინც დღევანდელს ჩვენს გაჭირვებას ჰხედავს და მისთვის გული შესტკივა.

ვ. სეფისპირელი

და მეთვალყურე, რომ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა მაინც დაუშალონ.

— მივსწერეთ ა, ამბობენ მოხელეები, ფერშალი მოვიდა, გოგირდი აახრჩოლა და წავიდაო! სიმართლე ვსთქვათ, მისი მოსვლა არ გაუგია არც მღვდელს, რომელმაც იცის, ვინ რა სნეულებითა და ან რამდენი კვდება; არ გაუგია არც მასწავლებელს, რომელსაც აბარია სოფლის სკოლა, სადაც თავს იყრიან ოცობითა და ორმოცობით პატარა ბალანები სოფლის ყოველ კუთხიდამ; არ გაუგია არც კიდევ იმისთანა პირთ, რომელთაც შეუძლიანთ რაიმე გავლენა იქონიონ სოფლის ხალხზედ სიტყვით თუ საქმით. მაშ რიღას მიხედვა და შველაა? საქმე შეეხება ბავშვების ისეთს საშიშს ავადმყოფობას, როგორიც ქუნთრუშაა ყელის ტკივილათ ამ სენთან მებრძოლი მიდის სოფელში და არც-კი კითხულობს, არსებობს აქ სასწავლებელი, თუ არა? ძალიან მაკვირვებს ასეთი საქციელი!

მოხელეთა ლოდინში აქაურ სოფლის სკოლას ნახევარი შეგირდები შემოეფანტნენ, რადგანაც სენიან უბნებიდამ მოსიარულე ბავშვებს ერიდებიან. ნახევარშიც ქუნთრუშით ავადმყოფნი აღმოჩნდნენ. მოსალოდნელია, დანარჩენი მოწაფეებიც გაფრთხებიან, მაგრამ სად წავლენ თვით მასწავლებლის წვრილი გოგო-ბიჭები, თუ მართლა ულმობელი სენი სკოლაშიაც შესრიალდა?

ბოლოს უნდა დავსძინო, რომ სოფლის ხალხის უმცირესობა მაინც ურჩი აღმოჩნდა მანდილოსან-დედაბერთა ლალადისა, რაიცა სჩანს იქიდამ, რომ სოფლის სკოლიდამ ბავშვები სენს მოერიდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, შემდეგში უმრავლესობა გადამდებს სენს უთუოდ მოერიდება, და სოფლის ხალხის ჯანმრთელობის საქმეს ერთი ნაბიჯით წინ წასწევს.

ფშაველიშვილი.

საგარეჯო. აქ დიდიხანია მძვინვარებს საქონლის ჭირი. რაც ჭირმა გაწყვიტა ერთი ათად ექიმებმა დახოცეს საქონელი. ერთი ბეწოთი თუ გააცხელა პირუტყვი, მაშინვე გაუყრიან კისერში შუბს და ცოცხალ-მკვდარს მარხვენ. იმათი ცოდვითი ქვა-ქვაზედაც ველარ დამდგარა, რადგან რამდენიმე ხანი მიწიდამ მოისმის ბღუილი საცოდავ პირუტყვისა. თითქმის ნახევარზედ მეტი საქონელი იმსხვერპლა ჭირმა. საქონლის პატრონთ, რასაკვირველია, ეძლევათ ექიმისგან მოკლულ პირუტყვის ფასი, მაგრამ სულ მცირედი, ასე რომ დიდი ზარალი მიეცათ აქაურებს.

ნარკვევი

ეკონომისტთა კრებაზე პეტერბურგში პ. დ. ბობორიკინმა წაიკითხა მეტად საყურადღებო მოხსენება შემდეგის სათაურით: „მწერალთა პროლეტარიატი“. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. ბ. ბობორიკინმა აღნიშნა მეტად სამწუხარო მდგომარეობა ეხლანდელ მწერალთა, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა არ არის უნზრუნველ ყოფილი, აგრეთვე ეკონომიური მდგომარეობა მათის ცოლშვილისა. ბობორიკინის აზრით, აუცილებლად საჭიროა დაარსდეს ლიტერატურის ასპარეზზედ მშრომელთათვის შეერთებული წარმომადგენლობა მშრომელთა და წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა, დაარსდეს საზოგადო კასსა და ყოველ თვეს ფული მოგროვდეს საჭირო თანხისათვის. ამ ჟამად სრულიად არ არსებობს ერთობა მწერალთა შორის. არის, მართალია, საქველ-მოქმედო საზოგადოებანი მწერალთათვის, მაგრამ მათი მოქმედება არ არის კმასაყოფელი. ამ გვარი მდგომარეობა აუტანელია და მოსათმენი არ არის. არ არსებობს არც საზოგადო რამ წარმომადგენლობა მწერლებისა, რათა ამ წარმომადგენლობას შეეძლოს განაწესრიგოს ურთიერთობა გამომცემელთა და მწერალთა შორის, და ამიტომ მწერალი შრომობს და უზრუნველ ყოფილი-კი არ არის. აგრეთვე მეტად ძნელი ასატანია დრამატურგთა მდგომარეობა, რომელნიც უნდა შეუერთდნენ განზრახულ სინდიკატს. მოხსენებამ დიდი და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

სასამართლოს მატიანე.

გუშინ, 30 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე ავჭალის მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის 17 წლის მოსწავლის მიტროფანე გორიაჩოვისა, რომელსაც შემდეგი მკვლელობის ჩადენა ჰბრალდებოდა. ამა მიმდინარე წლის აპრილში ზოგიერთი ბავშვები გამასწორებელ ახალშენისა ერთის დღით დაუთხოვნიათ. საღამოს, დაბრუნების დროს, გორიაჩოვს თავი მოუავადმყოფებია და წასულა დასაწოლად. იქვე მასთან შესულა აღმზრდელი სკოლისა და გაუსინჯავს ნივთები, ხომ არა წამოუღია-რა ტფილისიდგანაო. ამ დროს მეორე მოსწავლეს—დუშენკოს უთქვამს, მე ვიცი, მაგას რა აქვსო, და ფეხსაცმლის ყელიდგან პაპიროზები ამოუძვრია. მეორე დღეს დუშენკოს, უფროსის ბრძანებით, საუზმე წაუღია გორიაჩოვისათვის, რომელიც მოსვლის დროს წალაპარაკებია მას; გულმოსულს დუშენკოს ჯოხით შეუტევია გორიაჩევისათვის, რომელსაც უძვრია ბებუთი და მუცელში ჩაუკრავს მისთვის. ამ ჭრილობისაგან დუშენკო იმავე ღამეს გარდაიცვალა. გორიაჩოვს ამის შემდეგ ბებუთი დირექტორისათვის თვითონ მიუტანია და ყოველივე უამბნია. 30 ნოემბერს, საქმის გარჩევის დროს, ეკითხა 5 მოწმეს. სხვათა შორის მოწმემ აღმზრდელმა ვიახირევმა დუშენკოს მოკვლის მიზეზად დაასახელა უწესოება ახალშენის მართვის საქმეში: არა ჰყავდათ საკმაო რიცხვი აღმზრდელთა, სთქვა მოწმემ, მოსამსახურეთა და სხვ., ამის გამო ბავშვებს ჯეროვანი ყურადღება ვერ ექცეოდათ. მოსწავლეებში ქურდობა ისე გახშირებული ყოფილა, რომ გორიაჩოვს ის ბებუთი, რომლითიც დუშენკო მოუკლავს, სხვა ნივთებთან ერთად მოუპარავს ერთის აღმზრდელის ოთახიდგან. სასამართლომ დამნაშავედ იცნო მიტროფანე გორიაჩოვი და გარდაუწყვიტა ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 ნოემბერი.

ბერლინი. გაზეთები განაგძობენ წერას გაზეთში „Вѣстникъ финансовъ“ დაბეჭდილ წერილის გამო. ჰამბურგის „Quneral Anzeiqer“ განიხილავს ამ წერილს „Новое Врѣмя“-ში დაბეჭდილ წერილთან ერთად, სრულიად ეთანხმება რუსეთის აზრს ამ საგანზე და არც ჰშიშობს. რომ საზღვარგარეთის აგენტის სახელი გაუვარდეს. გაზეთი იხსენიებს მოძრაობას ავსტრიასა და იტალიაში და ამბობს: „ჩვენის სადამოჟნო საბაჟო უგვანო ზომებით ჩვენსავე მოკავშირეებს რუსეთის სადამოჟნო-საპოლიტიკო კლანჭებში ვაგდებთ და კიდევაც გვგონია, რომ სამაგიერო საქმეს ვჩადივართ“. „Berliner Zeitung-ი იმ აზრისაა, რომ თუ ორთავე მხრიდგან არ შემცირდა ბაჟი, გერმანიისათვის მომეტებული შეღავათი სადამოჟნო ომს გაუთანაბრდება. გაზეთი ამბობს: „ნუ თუ გერმანიის მთავრობა მაღალის ფრაზებითმე ჩემს სახლში ბ-ნი ვარო-დააღწევს თავს რუსეთის მუქარისაგან და ავსტრო-უნგრეთის ცდისაგან, რომელსაც სწადიან ეკონომიურად დაუახლოვდეს რუსეთს. ნუ თუ მთავრობა ვერ მიხვდება, რომ განსაცდელს ეძლევა: შეიძლება დაგვიკარგოს რუსეთის ბაზარი და რუს-გერმანიის სადამოჟნო უთანხმოებამ აუარებელი ზარალი მოგვიტანოს.—Berliner Börsen Courier“ შიშობს გერმანიის მთავრობა არ შეისმენს ვიტტეს გადაჭრილს სიტყვას, თუმცა არც თუ ბევრს რამეს მიაჩნია ისიც. რომ რუსეთმა ავტონომიურ ტარიფს მიჰმართოს. ეს ეპატიებათ ამსარიებს და არა მთავრობას. გაზეთს ,,Zeit‘‘-ს რუსეთის განცხადებისაგან ის აზრი გამოჰყავს, რომ რუსეთი გერმანიიდგან საქონლის შემოტანას შეღავათს მისცემს, თუ გერმანია პურის ბაჟს იმ ზომით გააწერს, რომ ეს სასარგებლო იყოს რუსეთიდგან საქონლის მატნისათვის, ,,Breslaner Margenzeitung‘‘ს არ უკვირს, რომ ვიტტეს, წინააღმდეგ გრაფის ბიულოვის აზრისა, გერმანიის ახალი ტარიფი სრულიად უვარგისად მიაჩნია სავაჭრო ხელ შეკრულობისათვის, რადგანაც თვით გერმანიის მთავრობამ ამ ტარიფს ისე შეხედა, როგორც ბრძოლისათვის დიდად გამოსადეგს იარაღს, ხოლო რიჰტერმა სამართლიანად სთქვა, რომ ეს ტარიფი გამომხატველია უსაზღვროდ კადნიერის პოლიტიკისა, რომელიც სხვას ხელს უცრავს მხოლოდ იმისთვის, რომ ეს სარგებლობას მიუტანს ლიტიფუნდიის პატრონთა ერთს მუჭას. „Kolner Gageblatt“ თამამად ამბობს, ეჭვი არ არის, რომ ეს ეკონომიური უთანხმოება რუსეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანად დასრულდება, რადგანაც გერმანია აღარ მოუმატებს იმ ბაჟს, რომელიც აღნიშნულია პროექტში და ამ ფასების შესახებ კი, უეჭველია, უკვე მოხდა შეთანხმება რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან. აგრარიების ინტერესების მცველი. სხვა გაზეთები სცდილობენ ისე განმარტონ რუსეთის ფინანსთა მინისტრის სიტყვები, ვითომ იგი უარჰყოფს სამუქარო პოლიტიკას; მაგრამ იმასაც-კი ამბობენ, რომ რუსეთის განცხადება წარმოადგენს დიდს დახმარებას გერმანიის ახალი სადამოჟნო პოლიტიკის აქაურ წინააღმდეგთათვის.

ვენა. „Nene Treie Press“-ს სწერენ ლვოვიდგან: „აქაურ საელჩოსათვის, საელჩო შენობის პირდაპირ სულ მოკლე ხანში მცველ პოლიციელებს დააყენებენ.

ჰელსინგფორსი. „Финляндская газета“ სწერს: „გენერალ-გუბერნატორმა მისწერა [illegible]
ციის სეიმის პროკურორს—სამა
თალში მიეცით ლიუტერანე
მღვდლები, რომელნიც დაჟინებ
უარს ამბობენ სამხედრო ბეგარ
კანონის გამოცხადებაზე ეკლე
სიებში. *)

30 ნოემბერი.

პარიჟი პალატა განაგრძობს ბ
უჯეტის განხილვას. მილლუა წინ
აღმდეგია იმისი, რომ სარწმუნო
ბათა სამინისტროს ბიუჯეტი მო
სპოს. ასეთი საქციელი იმის აზრით
წარმოადგენს ძალ მომრეობასა
ძარციას. ლემერი ამბობს, არ შ
მონდები, რომ ეკლესია სახელმწ
ფოს ჩამოეცალოს, ხოლო სარწმ
ნოებათა სამინისტროს ბიუჯეტ
მოსპობა-კი მთელს საფრანგეთშ
ბრძოლას გამოიწვევს.

განცხადებანი

განმარტება
სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „**ფარმაცევტების გარდა**“ სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო; ან კიდევ: „**ქალებს**“ მიიღებთ წევრად თუ არაო?

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, **წევრებად-კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა.**

პაი ღირს **ხუთი თუმანი.** მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა ამყოფება თბილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზაშვილის სახლში.

ტელეფონი № 741.

განყოფილება
სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товариществу Фармацевтовъ.

(10—6.—5)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყ
რომ ამ დღეებში ჩვენმა
ვაჭრო ფირმამ ხაზ-ვაი-გ
თილდან დიდი მრავალი
ლისა და ფების საკ
მაშინა სხვადა-სხვა ფ
კებისაც. ჩვენ საკუ
რომ პირიანდ ჰქონ
და-სხვა სისტემის მ
ტდის მალედდელ დ
მაშინა მომეტებულ პ
ტით, ვიდრე სხვაგან
ტფილისში რისთვისაც
მშენის შეძენის მსურ
ვთხოვთ მობძანდეს
წწურდეს სინამდვილეში
ფირმის წარმომადგენ

გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯამუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯადარუხოვის ქარვასლა, № მაღაზია და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯამუხაძე, ტელეფონი 7

(25—16—19)

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 სადამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა სადამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დილის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის სადამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ხელ, პარასკევობით, დილის 2 ს. 32 (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 ღამის 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.), ყარსში ჩადის დილით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

---

*) ყველა ეს დეპეშები მეტად
ნებულია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.